იგი გივი ბერიკაშვილის ხან შვილია, ხანაც მამა

იგი სრულიად განსხვავდება ქართულ ტელესერიალ „წვრილ ვარსკვლავთა ღამეში" განსახიერებული პერსონაჟის იაშკასაგან. უფრო მეტიც, ეს სიტყვაძვირი, წყნარი და გაწონასწორებული ახალგაზრდა კაცი სრული ანტიპოდია იმ ეკრანული როლისა, რომლითაც **ზურა ბერიკაშვილი** *მაყურებელმა გაიცნო. მიუხედავად იმისა, რომ მან უკვე თავისი შესაძლებლობების გამოხატვა შეძლო, დღემდე ცნობილი მამის, გივი ბერიკაშვილის ჩრდილქვეშ გრძნობს თავს და ყველა გივის ბიჭს, ანუ ბერიკას ვაჟს ეძახის, თუმცა იგი არ ცდილობს მამის სახელით სარგებლობას. პოლიციასთანაც კი, თურმე დამოუკიდებლად აგვარებს საქმეს. და მაინც, დღემდე მისი ხსენებისას აუცილებლად ფიგურირებს სახელი გივი. იგი გივი ბერიკაშვილის ხან შვილია, ხანაც მამა. დიახ, ზურას ვაჟიშვილის, პატარა გივის გაჩენის შემდეგ, ზემოთ ხსენებული „პრობლემა" გაორმაგდა. ზურასთან საუბარს მისი კოლორიტული მამით ვიწყებთ:*

— გივი შესანიშნავი მამაა, მისგან კამათიც კი არ მახსოვს. ბავშვობაში სულ მიკვირდა, როცა ჩემი თანატოლები ამბობდნენ: მამა გამიბრაზდა და დამსაჯაო. ვერ წარმომედგინა მამაჩემის და საერთოდ, მამების გაბრაზება. ისე, მეც ძალიან წყნარი ბავშვი ვყოფილვარ. სწავლა-განათლებით ვერ გამოვირჩეოდი, მაგრამ ამრევი არ ვიყავი, ამიტომაც ჩემს მცირეოდენ ცუღლუტობას ყურადღებას აღარ აქცევდნენ.

— მაშინაც არ გაგიბრაზდა მამა, როცა ცხვირი დაუწუნე?

— რა მერე, თუ დავუწუნე, თავად ნაკლები ცხვირი მაქვს? ეგ ბავშვობაში მოხდა. ერთხელ შევნიშნე, რამხელა ცხვირი გაქვს-მეთქი. თანაც რამდენჯერმე გავუმეორე, გულშეღონებულმა მომიგო: — რა ექნა, შვილო, თუ არ მოგწონს, ამ ცხვირით ვაჭმევ მთელ ოჯახს პურსაო.

— ზურა, იაშკას პროტოტიპი თუ არსებობს ცხოვრებაში?

— არა, იაშკა რამდენიმე კაცის ხასიათით შევქმენი. შევხვედრივარ მსგავს ადამიანებს ცხოვრებაში და მათი თავისებური მანერები კარგად მახსოვს დღესაც. იაშკა სპონტანურად ყალიბდებოდა. ათი წუთით ადრე ვეცნობოდი ტექსტს და გადაღების პროცესშივე ვსწავლობდი.

— ქუჩასთან თუ გქონდა სიახლოვე?

— ბავშვობაში რა თქმა უნდა მქონდა. ეზო, უბანი, ბირჟა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. თუ დრო მაქვს, ახლაც ებირჟაობ. კაცის ცხოვრებაში რაღაც ადგილი უნდა ეკავოს ქუჩას. არ ვამბობ, რომ ქუჩაში უნდა გაიზარდოს ბავშვი, მაგრამ ესეც ცხოვრების ნაწილია, რომელიც ავის და კარგის გარჩევაში გეხმარება, თუმცა ჩემი სიყმაწვილის დროინდელი ქუჩა დღევანდელისაგან განსხვავდება, ისე როგორც მამაჩემის ბავშვობის დროინდელ ქუჩას არ ჰგავდა შემდგომი დროის ქუჩის ცხოვრება. სამწუხაროდ, ბევრი რამ კარგი იკარგება.

— გული ხომ არ დაგწყდა, სერიალის გადაღება რომ შეწყდა?

— საინტერესო ჯგუფი მუშაობდა გადაღებაზე... გული მწყდება.

— ახლა რომ დაგიძახონ გადაღებაზე, წახვალ?

— წავალ, რადგან ეს საქმე ჩემს პროფესიასთან არის ახლოს და ჯამაგირის მისაღებად მისი კეთება მირჩევნია სხვა რამეს, თუმცა თავად არ ვუყურებ ტელესერიალებს ყოფით ცხოვრებაზე ან დრამატულ მოვლენებზე. დეტექტიური ტელესერიალები მირჩევნია.

— საახალწლოდ რომელიმე სატელევიზიო პროექტში ხომ არ მიიღებ მონაწილეობას?

— არა. პატარა რესტორან „მერცხალში" 31 დეკემბერს საკონცერტო პროგრამის წამყვანი ვიქნები და უნებლიეთ დავარღვევ ტრადიციას. ახალ წელს ოჯახთან ერთად ვერ შევხვდები.

— ალბათ, ეს ხელს არ შეგიშლის მოლხენაში?

— შეიძლება დავთვრე, მაგრამ ჩემი სიმთვრალით არავის შევაწუხებ.

— თუმცა კურიოზულ სიტუაციაში შეიძლება აღმოჩნდე, არა?

— შეიძლება. ერთხელ ისეთი მთვრალი ვიყავი, რომ შარვალი ლიფტშივე გავიხადე და როდესაც კარი გამიღეს, ოჯახის წევრებს გულები კინაღამ დაუსკდათ შიშით. მე კი ძილისთვის თადარიგი წინასწარ დავიჭირე.

...ალბათ მკითხველმა სიტუაციას მიადევნა თვალი, განწყობაც ღიმილიანი შექმნა და ამითვე დავემშვიდობებით ბერიკას ბიჭს.

ეკა ლომიძე

ყველა ინგლისელზე დიდი ინგლისელი

საახალწლოდ, ინგლისელები ბი-ბი-სი-ს ინიციატივით, დაასახელებენ ყველა დროის უდიდეს ინგლისელს. ტიტული მიენიჭება გამოკითხვის შედეგების მიხედვით. გამოკითხვაში კი ნისლიანი ალბიონის ათი ათასზე მეტმა მკვიდრმა მიიღო მონაწილეობა. გამარჯვებულს ტელევიზია გაამხელს სწორედ ახალი წლის ღამეს.

მაგრამ უკვე არსებობს წინასწარი მონაცემები და გამოკვეთილ ლიდერად ჯონ ლენონი წარმოჩინდება. მან ბევრი ხმით გაუსწრო თავის სახელოვან თანამემამულეებს — უილიამ შექსპირს, ისააკ ნიუტონს, ადმირალ ნელსონს, ჯეიმს კუკსა და ჩარლი ჩაპლინს:

რჩეულ ქალებს შორის უპირველესი ინგლისელი ლედის წოდებას, როგორც ჩანს, არავის დაუთმობს დედოფალი ელისაბედ II.



ორშაბათი
24 დეკემბერი

07.00 "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30 Новости. 10.15, 20.00 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ" 11.15 Что? Где? Когда? 12.25 Док. детектив 12.50 Библиомания 13.00, 22.35 Прямая линия с Президентом Российской Федерации В.В. Путиным 14.15 Фильм "КТО ЗАПЛАТИТ ЗА УДАЧУ?" 15.35 Дисней-клуб 16.15 Боевик "ШАКАЛ" 18.00 Большая стирка 19.25 С легким паром 20.00 Жди меня 21.00 Кто хочет стать миллионером? 22.00 Время. 23.45 Независимое расследование 01.00 Хосе Каррерас, Лучано Паваротти И Пласидо Доминго в концерте "Три тенора". Рождество"

06.50, 07.50, 08.50, 09.50, 21.35, 00.30 Вести-Москва 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 21.00 Вести. 07.15 "СЕЛЕСТА, ВСЕГДА СЕЛЕСТА". Сериал. 07.45 "Православный календарь". 08.15 "Телепузики". 08.40 Семейные новости. 09.15 Москва-Минск 09.35 "Экспертиза РТР" 10.15 Фильм "ГОСПОЖА БОВАРИ" 12.30 Сериал "САНТА-БАРБАРА". 13.00, 20.00 Прямая линия с Президентом России В.В. путиным 14.30 Что хочет женщина 15.30 Фильм "КРЫЛЬЯ ЛЮБВИ" 16.25 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ" 17.20 Сериал "FM И РЕБЯТА" 18.30 Фильм "НАЗНАЧЕНИЕ" 21.55 Детектив "ПУАРО АГАТЫ КРИСТИ. ЗЛО ПОД СОЛНЦЕМ" 00.00 Вести 00.45 Дежурная часть 01.00 Фильм "МАЛЕНЬКИЕ ЖЕНЩИНЫ"

სამშაბათი
25 დეკემბერი

07.00 "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30 Новости. 10.15 Жди меня 11.15 С легким паром 11.40 Кто хочет стать миллионером? 12.35 Непутевые заметки 12.50 Библиомания 13.15 Русский экстрим 13.40 Фильм "ЗДРАВСТВУЙТЕ, Я ВАША ТЕТЯ!" 15.35 Дисней-клуб 16.15 Ералаш 16.25 Фильм "СЕРЕНАДА СОЛНЕЧНОЙ ДОЛИНЫ" 18.00 Большая стирка 19.25 Сериал "УСКОРЕННАЯ ПОМОЩЬ" 20.00 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ" 21.00 Слабое звено 22.00 Время. 22.35 Фильм "ОСТАНОВКА ПО ТРЕБОВАНИЮ-2" 23.45, 00.50 Док. фильм 02.40 Фильм "ПАРАНОРМАЛЬНЫЕ ЯВЛЕНИЯ. ЗАКРЫТОЕ ДОСЬЕ"

06.50, 07.50, 08.50, 09.50, 21.35, 00.30 Вести-Москва 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 21.00 Вести. 07.15 "СЕЛЕСТА, ВСЕГДА СЕЛЕСТА". Сериал. 07.45 "Православный календарь". 08.15 "Телепузики". 08.40 Семейные новости. 09.15 Национальный доход 09.20 Дежурная часть 09.35 "Экспертиза РТР" 10.15, 20.00 Сериал "АГЕНТСТВО НЛС" 12.30 "САНТА-БАРБАРА". 13.15 Мультфильмы 13.30 "Рядом с тобой" 14.30 Что хочет женщина 15.30 Сериал "КРЫЛЬЯ ЛЮБВИ" 16.25 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ" 17.20 Сериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ" 18.30 Фильм "УКРОЩЕНИЕ СТРОПТИВОЙ" 21.55 Сериал "МАРШ ТУРЕЦКОГО-2" 23.30 Док. сериал 00.45 Фильм "МАРТА ВСТРЕЧАЕТ ФРЕНКА, ДАНИЭЛЯ И ЛОУРЕНСА" 02.20 Кинескоп

ოთხშაბათი
26 დეკემბერი

07.00 "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30 Новости. 10.15, 20.00 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ" 11.15 Сериал "УСКОРЕННАЯ ПОМОЩЬ" 11.40 Слабое звено 12.35 Непутевые заметки 12.50 Библиомания 13.15 Серебряный шар 14.05 Фильм "ОТКРОЙТЕ, ПОЛИЦИЯ!" 16.15 Семь бед - один ответ 16.35 Программа 100% 17.00, 22.35 Фильм "ОСТАНОВКА ПО ТРЕБОВАНИЮ-2" 18.00 Большая стирка 19.25 Смехопанорама 21.00 Последний герой 22.00 Время. 23.45 Как это было 01.00 Цивилизация 01.30 "Ночная смена"

06.50, 07.50, 08.50, 09.50, 21.35, 00.30 Вести-Москва 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 21.00 Вести. 07.15 "СЕЛЕСТА, ВСЕГДА СЕЛЕСТА". Сериал. 07.45 "Православный календарь". 08.15 "Телепузики". 08.40 Семейные новости. 09.15 Национальный доход 09.20 Мультфильм 09.35 "Экспертиза РТР" 10.15 Сериал "АГЕНТСТВО НЛС" 11.05 Папа, мама, я - спортивная семья 12.30 Сериал "САНТА-БАРБАРА". 13.15 Мультфильм 13.30 Сам себе режиссер 14.30 Что хочет женщина 15.30 Фильм "КРЫЛЬЯ ЛЮБВИ" 16.25 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ" 17.20 Сериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ" 18.30 Фильм "ДУШЕЧКА" 20.00 Сериал "АГЕНТСТВО НЛС" 21.55 Фильм "МАРШ ТУРЕЦКОГО-2" 23.40 Док. фильм 00.45 Фильм "ЛЮБОВЬ ЗЛА..." 02.10 "Братья по лазеру"

ხუთშაბათი
27 დეკემბერი

07.00 "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30 Новости. 10.15, 20.00 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ" 11.15 Смехопанорама 11.40 Кто хочет стать миллионером? 12.35 Непутевые заметки 12.50 Библиомания 13.15 Серебряный шар 14.00 Фильм "ПРОДАЖНЫЕ ПРОТИВ ПРОДАЖНЫХ" 16.15 Что да как 16.35 КОАПП 17.00 Фильм "ОСТАНОВКА ПО ТРЕБОВАНИЮ-2" 18.00 Большая стирка 19.25 Кумиры. Испытание славой" 21.00 Кто хочет стать миллионером? 22.00 Время. 22.35 Сериал "ОСТАНОВКА ПО ТРЕБОВАНИЮ-2" 23.45 Человек и закон 01.00 Русский экстрим 01.30 "Ночная смена"

06.50, 07.50, 08.50, 09.50, 21.35, 00.30 Вести-Москва 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 21.00 Вести. 07.15 "СЕЛЕСТА, ВСЕГДА СЕЛЕСТА". Сериал. 07.45 "Православный календарь". 08.15 "Телепузики". 08.40 Семейные новости. 09.15 Национальный доход 09.20 Открытая таможня 09.35 "Экспертиза РТР" 10.15 Сериал "АГЕНТСТВО НЛС" 11.05 Папа, мама, я - спортивная семья 12.30 "САНТА-БАРБАРА". 13.20 Мультфильмы 13.30 Моя семья 14.30 Что хочет женщина 15.30 Сериал "КРЫЛЬЯ ЛЮБВИ" 16.25 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ" 17.20 Сериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ" 18.30 Очерк "Забытый шедевр" 18.45 "Судьбы" 19.00 Сергей Колосов. Документальность легенды 20.00 Сериал "АГЕНТСТВО НЛС" 21.55 Сериал "МАРШ ТУРЕЦКОГО-2" 23.35 Док. фильм 00.45 Фильм "ЗНАМЕНИТОСТЬ" 02.45 Горячая десятка

პარასკევი
28 დეკემბერი

07.00 "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.30 Новости. 10.15, 20.00 "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ". Сериал. 11.15 Фильм "ОТПУСК ЗА СВОЙ СЧЕТ" 12.35 Непутевые заметки 12.50 Библиомания 13.15 Человек и закон 13.55 Ералаш 14.10 Фильм "ДНЕВНОЙ ПОЕЗД" 16.15 Возможно все 16.35 Звездный час 17.00, 22.35 Сериал "ОСТАНОВКА ПО ТРЕБОВАНИЮ-2" 18.00 Большая стирка 19.25 Док. детектив 21.00 Слабое звено 22.00 Время. 23.45 Сериал "СЕКРЕТНЫЕ МАТЕРИАЛЫ" 00.55 "Крылья" 01.20 Ночная смена

06.50, 07.50, 08.50, 09.50, 21.35 Вести-Москва 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 21.00 Вести. 07.15 "СЕЛЕСТА, ВСЕГДА СЕЛЕСТА". Сериал. 07.45 "Православный календарь". 08.15 "Телепузики". 08.40 Семейные новости. 09.15 Национальный доход 09.20 Тысяча и один день 09.35 "Экспертиза РТР" 10.15, 20.00 Сериал "АГЕНТСТВО НЛС" 11.05 Новая "Старая квартира" 12.30 "САНТА-БАРБАРА". 13.15 Мультфильм 13.30 Моя семья 14.30 "Что хочет женщина 15.30 Сериал "КРЫЛЬЯ ЛЮБВИ" 16.25 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ" 17.20 Сериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ" 18.30 Фильм "МЫ ИЗ ДЖАЗА" 21.55 Сериал "МАРШ ТУРЕЦКОГО-2" 23.45 Док. сериал 00.45 Фильм "СТУДИЯ-54" 02.30 Панорама кино с Валерием Тодоровским

შაბათი
29 დეკემბერი

07.00 "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.30 Новости. 10.15 "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ". Сериал. 11.15 Фильм "ОТПУСК ЗА СВОЙ СЧЕТ" 12.35 Непутевые заметки 12.50 Библиомания 13.15 Крылья 13.50 Фильм "БЕГЛЕЦЫ" 15.30 Дисней-клуб 16.15 Что да как 16.35 Царь горы 17.00 Сериал "ОСТАНОВКА ПО ТРЕБОВАНИЮ-2" 18.00 Большая стирка 19.25 Смехопанорама 21.00 Последний герой 22.00 Время. 22.35 Что? Где? Когда? 23.55 Фильм "ЧУДОВИЩЕ" 01.40 Фильм "УМРИ СО МНОЙ"

06.50, 07.50, 08.50, 09.50, 21.35, 00.30 Вести-Москва 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 21.00 Вести. 07.15 "СЕЛЕСТА, ВСЕГДА СЕЛЕСТА". Сериал. 07.45 "Православный календарь". 08.15 "Телепузики". 08.40 Семейные новости. 09.15 Национальный доход 09.20 Мультфильмы 09.35 "Экспертиза РТР" 10.15 Сериал "АГЕНТСТВО НЛС" 11.05 Папа, мама, я - спортивная семья 12.30 "САНТА-БАРБАРА". 13.15 Мультфильмы 13.30 Моя семья 14.30 Что хочет женщина 15.30 Сериал "КРЫЛЬЯ ЛЮБВИ" 16.25 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ" 17.20 Сериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ" 18.30 Планета КВН 19.00 Пресс-клуб 20.00 Сериал "АГЕНТСТВО НЛС" 21.55 Алла Пугачева "Вспоминая Рождество...", Часть 5-я 00.05 Александр Песков в триумфальном шоу "Арлекин" 01.45 "Звездная ночь" в Камергерском

კვირა
30 დეკემბერი

07.45 Фильм "ЧАРОДЕЙ" 09.00, 11.00, 16.00, 19.00, 02.15 Новости. 09.10, 15.30 Дисней-клуб 09.35 Слово пастыря 09.55 Зов джунглей 10.20 Эх, Семеновна 11.10 Непутевые заметки 11.30 Пока все дома 12.10 Сами с усами 12.40 Фильм "АМЕРИКАНСКАЯ ДОЧЬ" 14.25 Ералаш 14.35 Серебряный шар 16.15 Фильм "НЕ МОЖЕТ БЫТЬ" 18.00 Живая природа 19.20 КВН. Финал 2001 года 21.40 Фильм "КРАСОТКА" 00.00 Фигурное катание. Чемп. России 02.30 Фильм "УДАР ДРАКОНА"

07.40 "Диалоги о рыбалке". 08.05 Мультфильм 08.30 Сериал "АГЕНТСТВО НЛС" 09.25 Телепузики 09.50 Русское лото 10.40 Всероссийская лотерея "ТВ Бинго-шоу" 11.20 Здоровье и жизнь 11.55 Золотой ключ 12.20 Городок 12.25 "Рядом с стабой" 13.50 Сериал "ТАЙНЫЙ АГЕНТ" 14.45 ТВ-Бинго новости 15.00, 21.00 Вести. 15.20 Фильм "ГАРАЖ". 17.00 Мультфильмы 17.40 "Алиса в Стране Чудес". Шоу на льду 19.00 Моя семья 19.55 Аншлаг 21.55 Фильм "ЛЮДИ В ЧЕРНОМ" 23.55 Фильм "СИНЬОР РОБИНЗОН" 02.00 Концерт леонида Агутина, Анжелики Варум и Ал Ди Миола

დროა შოუბიზნესი დავტოვო...

საგნები, რომელთაც ჯერაც ახსოვთ წარსულში გარდასული დიდი პატრონის ალერსი, სათითაოდ, ჩუმად გიყვებიან საკუთარ ამბავს და სასიამოვნო გრძნობით აღვსილს სულაც არ გიჭირს მასპინძლის მოლოდინის გაძლება. იმ დღეს მორის ფოცხიშვილის ოჯახში მის უმცროს ქალიშვილთან, ბასასთან ვსტუმრობდი. შემოქმედებით ჯგუფთან ერთად გამთენიის ხანს დაუმთავრებია „უცნობის" ახალი სიმღერის კლიპის გადაღება და მიუხედავად იმისა, რომ შინ დილით მოსულს სულ მცირე ხნით მოუსწრია წაძინება, დაღლილობის კვალიც არ ემჩნეოდა და სამონტაჟოში წასასვლელადაც დიდი ხალისით ემზადებოდა, ამიტომაც შემაცბუნა ბასას მინიშნებამ, რომ უახლოეს მომავალში საერთოდ აპირებს შოუბიზნესის დატოვებას, ამჯერად კი მითხრა:

— კლიპების გადაღებას ვწყვეტ და შოუბიზნესის დატოვებას ვაპირებ. თუმცა არის რამდენიმე მომღერალი, ვისთანაც მომავალშიც სიამოვნებით ვიმუშავებ. ექვსი თვის პაუზის შემდეგ თემურ თათარაშვილის კლიპი გადავიღე.

— გგონია, ამოწურე შენი ფუნქცია თუ ერთ ადგილზე ვერ ჩერდები დაუდეგარი ხასიათის გამო?

— უფრო მეტის გაკეთება მინდა ამ სფეროში, მაგრამ შოუბიზნესის განვითარების პროცესი არასწორად წარიმართა. ყველა თითქოს ერთ ადგილს ტკეპნის. ეს მხოლოდ ჩემი აზრია, მაგრამ გამოჩნდა ხალხი, ვისი ყოფნაც შოუბიზნესში ზედმეტად მიმაჩნია. ასე გაგრძელება არ შეიძლება და ალბათ კანონზომიერების ბუნებრივი პროცესები ამ მოვლენასაც დაარეგულირებს. ღირსეული დარჩება, უღირსი კი თავისთავად წავა, სასაცილოა ამდენი პლაგიატი, იმის მაგივრად, რომ გენიოსებს მაინც მოჰპარონ ნაწარმოებებიდან რაღაც, თავისნაირ უნიჭოებს ჰპარავენ სისულელეებს.

— ამ დროს შოუბიზნესიდან შენი წასვლა გაქცევას არ ჰგავს?

— არ გავრბივარ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ არიან გამონაკლისები, ვისთანაც ერთად სიამოვნებით ვიმუშავებ. ძირითადად კი ჩემს პროფესიას დავუბრუნდები. კინორეჟისორი ვარ და ფილმები უნდა გადავიღო. იმედი მაქვს, რომ ეს მალე გახდება შესაძლებელი საქართველოში.

— მექჭვება, რომ „მალეს" დაველოდოთ და რახან კინორეჟისორობას უბრუნდებით, ალბათ უკვე კონკრეტული იდეაც გაქვთ განსახორციელებელი.

— რა თქმა უნდა. უსაქმოდ გაძლება არ შემიძლია. ამიტომაც არაფრის კეთებას მირჩევნია, გადასაღებ მოედანზე ვისიამოვნო. იდეა, რა თქმა უნდა, მაქვს, მაგრამ ჯერ ვერ გაგიმხელთ.

ბასა ყავას მისხამს, საუბარს აგრძელებს და ჩემ უკან კედელზე დაკიდებულ უზარმაზარ სარკეში იყურება.

— გიყვარს სარკე? რა ფუნქცია აქვს შენს ცხოვრებაში?

— გამუდმებით სარკეში ყურება ჩემთვის ბუნებრივი პროცესია, სულ გამირბის თვალი. არ იფიქროთ, რომ საკუთარ გარეგნობას ვამოწმებ, არა, საკუთარ თავს ვუყურებ თვალებში. ლიზიკო ბაგრატიონი ხუმრობს ხოლმე — ბასა თავის თავს ებღვირება სარკეშიო.

— ნიღბების მორგებაზეც ხომ არ მუშაობ?

— ეგ მე არ შემიძლია. ამის მცდელობაც რომ მქონდეს, მყისვე სახეზე შემეტყობა. ამიტომაც ჩემში ერთი ბასა ცხოვრობს.

— შენი მეგობრები ამბობენ — „ფანტასტიური" დიასახლისიაო, რას აკეთებ ყველაზე კარგად?

— ვინ გითხრა, ეგ ტყუილია. კარგი დიასახლისი ნამდვილად არა ვარ, მაგრამ თუ დამჭირდა, მაგასაც მოვახერხებ. საჭმელს ვერ ვაკეთებ, სხვა რამის კეთება კი შემიძლია. ერთხელ ჩუტყვავილა დამემართა. შინიდან ვერ გავდიოდი, უსაქმობით რომ არ გავგიჟებულიყავი, ავდექი და სახლი დავალაგე.

(გაგრძელება იხ. გვ. 23)

ჟურნალ-გაზეთების გამოწერა
თბილისის მაცხოვრებლთათვის
კვირის პალიტრა
სახლიდან გაუსვლელად
ტელ: 33-26-73

სამშაბათს, 25 დეკემბერს გამოვა
ასტროლოგიური პროგნოზების
ახალი ფერადი გაზეთი

ზოდიაქო

ზოდიაქოს ნიშნების წლიური პოროსკოპითა და კალენ-